თვით მუშის საქმეა.

ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

მოსკოვში პოლიციამ აღმოაჩინა ფარული სტამბა და ლაბარატორია. ბოლგარიაში მოხდა მრავალ რიცხოვანი ანტი-ბერძნული მიტინგები.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 46

ოთხშაბათი, 2 აგვისტო, 1906 წ. თბილისი

№ 46

გ ა მ ო ვ ი დ ა

## ახალი წიგნი

## ძველი და ახალი

არჩილ ჯორჯაძისა.

იყიდება „მუშის“ რედაქციაში და ქართვ. შორ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

ფასი 25 კაპ.

ასოთ-აწყობების თხოვნით მივმართავთ ყველა კორესპონდენტებს გზავნონ თავიანთი წერილები, მხოლოდ

**ერთ გვერდზე**

დაწერილი.

## რაში უნდა ვეძიოთ ხსნა.

„ჩვენ არვინ მოგვცემს თავისუფლებას,
არც მეფე, ღმერთი, არც ვინმე გმირი,
ჩვენ თვით გავსჭედოთ თავისუფლება
და დავამყაროთ ძმური კავშირი.“

„მწყურის,—სთქვა მტარვალთაგან ჯვარზედ გაკრულმა და სასიკვდილოთ გამზადილმა იესომ,—ხოლო მას წყლის მაგიერ ღრუბლით ძმარი მიაწოდეს, რომელმაც, ისედაც ტანჯვის ალმურით მოცული და მწარე ტკივილების განმცდე გული იესოსი, უფრო შეაწუხა და შეაძრწუნა... ამგვარადვე მოექცა რუსეთის ხალხს რუსეთის დესპოტიური თვითმპყრობელობა: მწყურის მიწა და თავისუფლება, მიხრწნილის ხმით უთხრა დიდიხნიდან და ყოველ მხრიდან დაჩაგრულმა და შევიწროებულმა რუსეთის გლეხობამ „თავის“ თვითმპყრობელურ მთავრობას,—ხოლო თვითმპყრობელურმა მთავრობამ კი მიწისა და თავისუფლების ნაცვლად—ტყვია, პულემიოტები, სალრჩობელები, ზარბაზნები და სხვა ამგვარი „დამამშვიდებელი“ საშუალებანი მიაწოდა. გლეხობამ თვითმპყრობელობას წყურულის მოკვლა მოსთხოვა, თვითპყრობელობა კი თვით მის მოკვლას, აღმოფხვრა-განადგურებას შეეცადა. ბოლოს იმაში დარწმუნებულმა გლეხობამ, რომ მთავრობა მას თხოვნებით და პეტიციებით არაფერს მისცემს, რევოლიუციონური გზით გადასწყვიტა თავის მიზნის განხორციელება, მაგრამ მთავრობამ მისტიფიკაცია, პოლიტიკური ხერხიანობა გამოიჩინა და გულუბრყვილო გლეხობა მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიით სათათბიროში გამოხატულ ხაფანგში გააბა. არ გვიკვირს გულუბრყვილობა გლეხობისა ხოლო გვიკვირს გულუბრყვილობა მეორისა რომელიც თავის თავს კოლლექტივისტურ სოციალიზმის მიმდევრად სთვლის და რომელსაც თავისი სოციალისტური შეგნება-შემეცნება ჭეშმარიტად და არა საეჭვოთ მიაჩნია. არ არის საკვირველი ანტი-ოპტიმისტური ტენდენცია პირველისა სათათბიროსადმი, ხოლო გვიკვირს ამგვარივე ტენდენცია მეორისა, რომელიც თავის თავს ყოველთვის რევოლიუციონერად სთვლის და მაშასადამე მარტო ბუნებრივ ევოლიუციის და პროგრესის იმედით არ სულდგმულობს. არ გვიკვირს კონსერვატიული ინდიფერენტიზმი, რომელიც პირველმა გამოიჩინა სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღებით, ხოლო გვიკვირს უკანასკნელის რევოლიუციონური „პრომახი“, რომელიც მას მოუვიდა **მიუხედავათ იმისა რომ მუდამ იმეორებდა საფრანგეთის რევოლიუციების გაკვეთილებს და სცდილობდა მათი ნაკლულევანება თავიდან აეცილებინა რუსეთის რევოლიუციისათვის.**

დიაღ, რევოლიუციონურათ „გაბრძმედილმა“ და „გაწვრთნილმა“ სოციალ-დემოკრატიამ რევოლიუცია სათათბიროში მონაწილეობის მიღებით ხაფანგში გააბა და მით **ისტორიული დანაშაულობა ჩაიდინა,** მაგრამ ეხლა ამაზედ ლაპარაკი გვიანღა არის რახან წარსულს ველარ დავაბრუნებთ, ხოლო აწმყო კი მომავალზე ზრუნვას გვავალებს და მაშასადამე ზოგიერთ შემთხვევაში დროებით წარსულის მოვიწყებასაც გვაიძულებს.

რა ვჰქნათ? რაში ვეძიოთ ხსნა? რა გვიხსნის აბსოლიუტიზმისაგან, ალვირ-წახსნილ ტირანიისაგან?

აი კითხვები, რომელნიც ცხოვრებამ გამოიწვია და რომელნიც ჩვენგან კატეგორიულად მოითხოვენ გადაწყვეტილ და ერთგვარ პასუხს.

გადაჭრილ პასუხს მივცემთ ჩვენ ჩვენი მხრივ ამ შეკითხვებს, პასუხი გაეცით თქვენც თქვენი მხრივ —რომელთაც თავი ჩაგრულ ხალხის კომაგათ და ინტერესების დამცველათ დაგისახავთ; პასუხი მიეცით, სწორი, პირდაპირი და არა ორჭოფული და ინდივიდუალურ-დოგმატიურ თვალთახედვის ისარზე დამყარებული; პასუხი მიეცით გადამწყვეტი და ნაყოფის მიღების აუცილებლობასთან შესაბამებული, თუ არ გინდათ, რომ მოჰყვეთ ქვეშ ისტორიულ ბორბალს და გაისრისოთ...

მხოლოდ ბრძოლა, მხოლოდ ბრძოლა მედგარი და თავგანწირული, მხოლოდ ბრძოლა ქუჩური, და არა დუმურ-პარლამენტარული დაგვიხსნის ჩვენ დღევანდელ ტირანიის მძიმე, აუტანელ უღლისაგან!.. აი ჩვენი გადაჭრილი პასუხი ზემორე აღნიშნულ შეკითხვებზე. ჩვენთვის სხვა გვარი პასუხი არ არსებობს და არც იარსებებს... ჩვენ გვწამს ერთხელ და სამუდამოდ, რომ რევოლიუციას თავის ლოღიკურ დასკვნამდის მხოლოთ ბრძოლით და მხოლოთ ბრძოლით მივიყვანთ და არა მთავრობისაგან მოგონილ დუმა-პარლამენტებით...

სათათბირო მთავრობამ დაითხოვა, ის გააძევა და გააბაიბურა, როგორც ფიზიკურათ სუსტი ძალა და მით ამცნო რუსეთის ტანჯულ ხალხს, რომ ის უნდა მედგრათ შეუდგეს რევოლიუციონურ მზადებას: უნდა შეიარაღდეს, ორგანიზაციურათ შეკავშირდეს და ენერგიული იერიში მიიტანოს სულთმობრძავ ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობაზე...

ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა ბანერმანმა სახალხთაშორისო საპარლამენტო კონგრესზე სთქვა: „La Douma est morte, vive la Douma! (მოკვდა დუმა, გაუმარჯოს დუმას!) ჩვენ კი ვიტყვით: **მოკვდა დუმა, გაუმარჯოს რევოლიუციას!**

Babus.

---

## ახალი „დანოსი“

თავის მეოთხე ნომერში „Кавказская Недѣля“-მ (სამ კაპეიკად განაწყენა) ახალი „დანოსი“ გამოაცხო ჩვენზე. საწყალი სოციალ-დემოკრატები! ქარიშხლად სწერეს, სწერეს „დანოსები“, არაფერი გაუვიდათ—ბ მა გენერალ-გუბერნატორქართული არ იცის—და ეხლა რუსულად მოსდგნენ დანოსების წერას. ჩვენდა საუბედუროდ ჯერ-ჯერობით რუსული გაზეთი არ გვაქვს, რომ ადგილობრივ რუსების წინაშეც ჩამოვგლიჯოთ ბ.ბ. სოციალ-დემოკრატებს ნიღაბი და გამოვაჩინოთ მათი ნამდვილი სახე, საშინელი და საზარი, სახე, რომელიც დაჭმულია კეთროვანი იობის ყველა სენით, სახე რომელსაც იეზუიტობის, მატყუვრობის, მოსყიდულობის, გონებრივი სიფილისის, და ზნეობრივი დაცემის ბეჭედი აზის.

პრინციპიალურ პოლემიკას ცოტა ადგილი უჭირავს და რაც არის იმასაც ისეთი უვიცობის, ისეთი სისულელის ბეჭედი აზის, რომ მისი დარღვევა საჭიროც არ არის. ვინ დაუჯერებს დაქირავებულ ცილის მწამებელ „Другъ“-ს, რომ ანარქისტები ინდივიდუალურის ძალით სცდილობენ სოციალური რევოლიუციის მოხდენას, ვინ დაუჯერებს ამ სიმყრალის ქვევრს, რომ ანარქიზმი ქურდობა, ცარცვა, კერძო კაცებთან ბრძოლაა, ვინ დაუჯერებს რომ ანარქისტი და ხულიგანი ერთი და იგივეა? არავინ, გარდა „Другъ“-ებისა არ არის ისე სულელი ეხლა, რომ მაგგვარი რამეები დაიჯეროს, არავინ, გარდა „Другъ“-ებისა არ არის ისე ზნეობით დაცემული, რომ იმ პარტიაზე, რომელსაც იმდენი ნამდვილი საისტორიო გმირები შეუქნია (ჩიკაგოს წამებულნი), რომელსაც იმდენი მთელი განათლებული კაცობრიობისაგან პატივცემული წარმომადგენლები ჰყავს (ბაკუნინი, რეკლიუ,

კროპოტკინი) გამეორეოს ისეთი რამეები რაც „Другъ“-ს ერთ სტატიაში, ერთ ბუკეტში გონებრივი და ზრეობრივი დაცემა გარყვნილებისა მოუგროვებია. „Другъ“-ს სხვას არაფერს ვეტყვით, რადგან მაგისთანა პოლემისტებს კი არ ელაპარაკებიან, არამედ თვალებში აფუოხებენ როცა შემთხვევა მოითხოვს.

კ—.

—

P. S. ვიცით „ინსტიტუტკები“ აგვიჯანყდებიან, არ შეიძლება მაგრე წერაო არ შეიძლება მაგრე ლანძღვაო. მაგრამ ჯერ წაიკითხეთ „Кавказская Недѣля“-ში № 4 მოთავსებული ყოველ სინიდისს მოკლებული, ცილის წამებით, ჭორებით აზრების და მისწრაფების დამახინჯებ-ით სავსე წერილი. მაგისთანა პოლემისტებთან სხვაგვარად ლაპარაკი შეუძლებელია; სხვა ენა არ ესმის მას.

## ახალი ამბავი

1 მარიამობისთვეს, კავკასიის ნამესტნიკი საავგარაკოთ კოჯორში წავიდა.

— დროებით პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი, მე-X უბნის ზედამხედველი, ბოიარინოვი გაიწვიეს პირვანდელ ადგილზე, პოლიცმეისტერის მოვალეობის ასრულება მიანდვეს იმისავე თანაშემწეს მანდრიკინს.

— კადეტთა კორპუსის დირექტორს სასამართლოდან უკანვე გამოუტანია თავისი საჩივარი პირველი გიმნაზიის დირექტორის გამყრელიძის წინააღმდეგ.

— პირველ გიმნაზიის დირექტორათ ისევ ის გამყრელიძე რჩება. როგორც ამბობენ იმ პირთ, ვისაც გამყრელიძის ადგილი შეაძლიესთ ყველას უარი უთქვამთ, იმ მიზეზით, რომ პირველ გიმნაზიის მოწაფეთა ხელმძღვანელობა მეტათ საძნელოაო.

— გაფუცულმა სინოდალური კანტორის მწერლებმა დღეს დაიწყეს მუშაობა. მათი მოთხოვნილებანი თითქმის ყველა დააკმაყოფილეს.

— 31 ივლისს, ცეცხლი გაჩენია თბილისის საზამთრო საკრებულოს. ცეცხლი დიდ ზარალს მოიტანდა, მაგრამ დროზე მოსულს ცეცლის მქრობელ რაზმს ჩაუქრია.

— ყარსის ოლქის და ქ. ალექსანდროპოლში მცხოვრებს თათრებს ჩამოურეკიათ თბილისში 235 თავი ცხვარი. ღამე დაბანაკებულან ნავთლუღში, სადაც ბორჩალოელი მწყემსები გარეთ მინდორში ნაძოვარა ცხვარს. უეცრივ 31 ივლისს, ღამის 12 საათზე თავს დასხმიან 16 შეიარაღებული კაცი. ხუთი ამათგანი, დარაჯების ფორმაში გამოწყობილნი გარს შემორტყმიან მწყემსებს და უბრძანებიათ, რომ ადგილიდან არ დაძრულიყვნენ. დანარჩენებს ამოურჩევიათ 103 თავი ცხვარი და გაურეკიათ ოთხ ამხანაგს კი ისევ მწყემსებისათვის უუდარაჯნიათ რომ ისინი არსად წასულიყვნენ. კაი ხნის შემდეგ ისინიც ცხენებით უკან გაჰყოლიან თავიანთ ამხანაგებს. გარდა ცხვრისა წაუთმევიათ 3 ცხენი ნაბდები და კიდევ სხვა ნივთები. 1 მარიამობისთვეს მწყემსებმა ყოველივე განაცხადეს პოლიციაში და ითხოვეს შემწეობის აღმოჩენა.

— 30 ივლისს, საღამოს 9 საათზე თბილისის სა[illegible]ზე დაიჭირეს ა. ნ. თაერიზოვი და წაიყვანეს საკომენდანტო სამმართველოში.

— თბილისის გენერალ-გუბერნატორმა სთხოვა ქალაქის თავს რომ მან აალებინოს გოლოვინის პროსპექტზე, საკრებულოს გამგეობისაგან დადგმული სკამები; გენერალ-გუბერნატორის ასეთი განკარგულება შედეგი ყოფილა მე-2 უბნის ბოქაულის ჩივილისა. ბოქაული ჩივის, რომ ამ სკამებს უსაქმოთ დარჩენილი ხალხი თავშესაფარათ იხდის და ღამეს იმაზე ატარებენო, და თანაც გამვლელ-გამომვლელ ქალებს უსიამოვნობას აყენებენო.

---

### სამეურნეო ბანკის გამგეობა და არტელი.

დღეს ჩვენი ყურადღება მიქცეულია დიდ ამბებისკენ და ამიტომ უყურადღებოთ ვტოვებთ უფო პატარა წვრილ ამბებს, მაგრამ ვისაც დიდი ამბის გაგება უნდა, იმან პატარა ამბავსაც ყურადღება უნდა მიაქციოს. საქმე იმაშია, რომ სამეურნეო ბანკის გამგეობამ გადასწყვიტა კასირის მაგიერათ „არტელჩიკი“ მოიწვიოს. ჩემის აზრით ამნაირი ცვლილება ძირითადი ცვლილებაა ბანკის ორგინიზაციაში და ამიტომ ბანკის გამგეობა მოვალეა დაეკითხოს სამეურნეო ბანკის საზოგადოებას, ბანკის პატრონს, სურს ამნაირი ცვლილება მოხდეს ბანკში თუ არა? მართალია წესდება ანიჭებს გამგეობას იმ უფლებას, რომ მას შეუძლია მოიწვიოს კასსირი და უფროსი ბუჰგალტერი, მაგრამ წესდებაში არ არის არც ერთი ადგილი სადაც ეწეროს გამგეობას აქვს უფლება „არტელჩიკიც“ მოიწვიოს. ეს კითხვა არის ვითხვა პრინციპიალური და ამ კითხვის გადაწყვეტაში თვით საზოგადოებამ უნდა მონაწილეობა მიიღოს, უკანასკნელი სიტყვა მან უნდა სთქვას. გამგეობა ხელმძღვანელობდა ორი საბუთით: ერთი რომ სხვა ბანკებშიც არტელჩიკები არიანო და მეორე, თუ „არტელჩიკი“ ქურდობას ჩაიდენს, არტელი აანაზღაურებს დაკარგულ ფულსაო. არტელი იმ შემთხვევაში იხდის ფულს, თუ არტელჩიკი ქურდობას ჩაიდენს. სხვა შემთხვევაში არტელი პასუხს არ აგებს. ამ საქციელში მწარე უნდობლობას ვხედავ საზოგადოებისადმი; თუ კი არტელი, ეს კომერციული დაწესებულება, რომელიც მხოლოთ ფულის ინტერესით არის გატაცებული, მითია გამსჭვალული, პოვებს თავის წრეში სანდო პირებს, იმიტომ რომ თვით არტელი ნდობაზეა-აშენებული, ნდობა რომ არ იყოს არტელი არ იქნებოდა, მაშ ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა, თუ ჩვენ საზოგადოებაში ვერ ვპოვებთ სანდო და საიმედო კაცს. მე პირადად საზოგადოებას უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე „არტელს“ და ამიტომ იმედი მაქვს, რომ ჩვენ საზოგადოებაში მოიპოვება მუშაკი სანდო და საიმედო კაცი. ამიტომ წევრნი სამეურნეო ბანკის საზოგადოებისა მოვალენი არიან მოიწვიონ საგანგებო კრება და იქ გადასწყვიტონ რაც სურთ.

ს—ლი.

---

# ფელეტონი

### საზოგადოების განვითარება.

(გაგრძელება *).

კოოპერატიული კავშირები წარმოებისა, განვითარება სამედიატორო მორიგებისა, თავისუფალი ორგანიზაციები მრავალგვარ მრეწველობის და მეცნიერული მიზნით, ერთი სიტყვით—ტენდენცია სახელმწიფოს გარეშე მოწესრიგებისა—ყველა ესენი დაფუძნებულნი არიან თავისუფალ შეთანხმებაზე და მომასწავებელია იმისი, რომ მომავალში საზოგადოება დამყარდება „თავისუფალ შეთანხმებაზედ“. ამ მიზნისაკენ მიისწრაფის მთელი კაცობრიობა და იბრძვის მთელი მისი მოწინავე რაზმი—სახალხთაშორისო პროლეტარიატი. მაშ თუ ეხლა ჩვენ მიზნათ დაგვისახავს ისეთი ცხოვრების დამყარება, რომელსაც „თავისუფალი შეპირება“ ჩაეყრება საძირკვლად, რომელიც იქნება უარისმყოფელი ყოველგვარ იურიდიულ ნორმების და კანონების კოდექსებისა, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენ ვუბრუნდებით ჩვენ წინაპართა ცხოვრება-მდგომარეობას? არა, ადამიანთა საზოგადოება განვითარდა არა იმგვარად, როგორც ეხლა ვითარდებიან სააქციონერო საზოგადოებანი, სადაც ყველა აქციონერს შეაქვს თავისი კაპიტალი და მოგება—ზარალს ერთმანერთს შორის იყოფენ, არა, იგი წარმოსდგა, როგორც ცხოველი ორგანიზმი, რომელიც დასაწყისში პატარა უჯრა (клѣточка) არის, (რომელიც თითონ შესდგება მამლის და დედლის ელემენტებისაგან, როგორც პირველი დასაწყისი საზოგადოებრივი წყვილი) რომლის გარეშემო იკრიბებიან სხვა უჯრედები, შემდგარნი პირველი უჯრის დაყოფით. როგორც ერთი ცხოველის უჯრედის დაყოფით წარმოსდგება ბევრი უჯრედები და ამათგან ბუნებრივ და არა წინაგანზრახულ შეთანხმებით წარმოსდგება მაგ. გასტრულა (gastrula) ხერხემლის მქონე ცხოველთა და ამ უკანასკნელისაგან კი ვითარდება ცოცხალი ინდივიდი, აგრეთვე ბუნებრივ წარმოსდგა ადამიანთა ზოგადი ცხოვრება.

დაგვრჩენია კიდევ გავიგოთ ერთი თუ რამდენიმე საზოგადოებები არსებობდენ დასაწყისში? 1-ლი ერთს თუ რამდენიმე ალაგს ერთსა და იმავე დროს დაიწყო კაცობრიობის განვითარება? ამგვარივე კითხვაა წამოყენებული შესახებ უმდაბლეს ორგანიზმების განვითარებისა. კითხვა იმაში შესდგება ერთს თუ რამდენიმე ალაგას ერთსა და იმავე დროს განხორციელდნენ ის პირობანი, როდესაც შესაძლოდ გახდა საზოგადოთ **„ცხოვრება“**, და რაუღ ქიმიურ შეერთებას პირველად მიეცა მოძრაობა პროტოპლაზმისა? ეხლანდელი მეცნიერება ამაზედ ვერ გვაძლევს მეცნიერულ პასუხს და საეჭვოა მომავალში სთქვას მან ამაზედ უკანასკნელი გადამწყვეტი სიტყვა. მეცნიერებას აქვს საქმე იმ მოვლენებთან, რომელნიც ეხლა არსებობენ ან არსებობდნენ და რაც ექსპერიმენტის და ანალიზის გარეშეა ეკუთვნის განყენებითი აზროვნებას (умозрительное мышленіе) და რადგანაც პირველი ცხოვრების განვითარებისაგან ბუნებას არაფერი შეუნახავს, ამიტომ მასზედ ლაპარაკი სერიოზულ მეცნიერულ ნიადაგზედ შეუძლებელია.

სულ სხვაა, როცა კითხვა კაცობრიობის განვითარებას შეეხება. აქ არსებობს ორი მიმართულება „პოლიგენისტური“ და „მონიგენისტური“ რომელთა შორისაც გაცხარებული კამათია. პოლიგენისტები ამტკიცებენ, რომ ხალხთა ჯიშებს შორის ისეთი დიდი გონებრივი და ფიზიკური გარჩევანი არსებობენ, რომ მათი სარწმუნოება ერთი წყვილისაგან წარმოუდგენელიაო. მონოგენისტები კი ამბობენ, რომ ეს გარჩევანი ისე მნიშვნელოვანნი არ არიან, როგორც პოლიგენისტებს ჰგონიათ, და მათი არსებობა არ არის საკმაო მრავალ-გვარ ადამიანთა სახეების განვითარებისთვისაო.

ჩვენ ვიცით, რომ სხვა და სხვა სახეების ცხოველთა შეუღლება ხშირად უნაყოფოა ან ცოტა ნაყოფიერი; ადამიანთა ტომნიც, რომ სხვა და სხვა სახეებს წარმოადგენდნენ, მაშინ ორი ინდივიდის შეუღლება, რომელნიც სხვადასხვა კაცობრიობის ტომთ ეკუთვნიან, უნაყოფო უნდა ყოფილიყო ან ცოტა ნაყო-

*) იხილე მუშა № 44.

## ბ ნ აბზიანის და მის აგენტების საყურადღებოთ.

ჩვენ ვკითხულობთ მუშის მე 42 №-ში, რომ ბ.ბ. აბზიანიძე და ძმანი მისნი თხოულობენ სამედიატორო სასამართლოში მათკენ მიმართულ სტატიის ავტორს (იხ. „მუშა" № 36). მასთანვე ბ. აბზიანიძე დასძენს რომ, პატივცემული „მუშის" რედაქცია შეცდომაში შეიყვანა ზემოხსენებულის წერილით მისმა ავტორმა. უკანასკნელს მუხლს ჩვენც სავსებით ვეთანხმებით, რადგან ბ. კორესპონდენტმა ბევრი რამეები დასტოვა გამოუქვეყნებელი. რაც შეეხება სამედიატორო სასამართლოში გასვლას მოვახსენებ სტატიის ავტორს რომ ძლიერ დიდი შეცდომა იქნება ისეთ ადამიანისაგან, როგორიც ბ. აბზიანიძე არის, სამედიატორო სამართალში გაწვევა-ს მიღება, რადგან ჩემის აზრით საშიშარია არა საიმედო პირებთან სერიოზული და საპასუხისმგებლო საუბარის ქონა.

ქ. აბზიანიძე ის ვაჟბატონია, რომელმაც ამ რამოდენიმე კვირის წინეთ დაითხოვა თავის ქარხნიდან ერთი „მუშა", მთელი კვირე სტანჯა და სამართალიც არ აღირსა, ხოლო როდესაც დატანჯულმა მუშამ აბზიანიძის ქარხანაში ერთ-ერთ პარტიის წევრი ჩაიყვანა საქმის გამოსარკვევათ, მსჯელობის დროს პოლიციელი თავს დააყენა ბ-ნმა აბზიანიძემ. პოლიციელი, რომელიც მუშებმა დროზე შენიშნეს და თავი დაახწიეს. ამას შემდეგ ამ ვაჟბატონს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიამ გაფრთხილებაც მისცა.

დასასრულ მე ძლიერ მაკვირვებს „მუშაში" მოთავსებული ბურჟუას წერილი და ამხანაგის წოდება; მე კი მწამს, რომ ბატონი აბზიანიძე არაფრით ჩვენი ამხანაგი არ არის და არც ადგილი უნდა ქონდეს მაგგვარ ხალხის წერილებს გაზეთ მუშის ფურცლებზე*).

სან—რე.

—

P. S. ჩვენ გვინდა ბატონ აბზიანიძეს შევეკითხოთ, თუ რა გარანტიას იძლევა იგი, მას შემდეგ რაც თავის ქარხანაში კამათის დროს მუშებს თავს პოლიციელი დააყენა, რომ კორესპონდენტს მხრივ არჩეულ მედიატორების ვინაობა „Охранное отдѣленіе"-ს არ გადაეცემა?

*) ადვილი შესაძლებელია ბ. აბზიანიძე დამნაშავე იყოს, მაგრამ ჩვენ მას პირადად არ ვიცნობთ და რადგან ჩვენ გაზეთში მას ბრალსა სდებდნენ,—იძულებული ვიყავით მისი თავის მამართლებაც დაგვებეჭდა. როცა საქმე გამოიკვლევა, მაშინ სხვაფერ მოვიქცევით.

რედ. შენიშვნა.

## პროვინცია

—

**თელავი** თელავის მამასახლისმა სულ მთლად გაყვლიფა და გაფცქვნა ქალაქი. ქუჩები რიყეს და სანაგვეს დაამსგავსა. მორწყვა არსად არის და განათება. რაც მამასახლისად იყოს ის მხოლოდ იმას ფიქრობდა, საიდან რამდენი ავცანცქლო ქალაქსაო. ყალბ ანგარიშებსაც კი არ ერიდებოდა. „სოფელი ვნახე უძაღლო შიგ გავიარე უჯოხოთ; მღეროდა ნაზად მამასახლისი. მაგრამ მისი განკითხვის დღეც დადგა. მარიამობისთვეში ახალი არჩევნები უნდა მოხდეს. რასაკვირველია ძველ მამასახლისს აღარ ამოირჩევენ. მაშ რა ეშველება საწყალ თელავს, ვის ამოირჩევენ მამასახლისად? გულ-შემატკივარი ყველასა ჰყავს, და რაღა თელავისთვის დაიმალებიან. სხვა არ იყოს რა წმინდანების პარტია აქ არ არის. და აკი თელავის მამასახლისის მდგომარეობამ მადა აღუძრა ერთ აქაურ წმინდანების (ს.-დემოკრატების ესენი ხომ წმინდანები ბრძანდებიან, უცოდველნი) პარტიის მეთაურს. „თუ კი თელავს სხვა გაფცქვნის, ისიც უპარტიო, არა სჯობია თელავი ისევ მე გავფცქვნა პარტიის სასარგებლოთაო?" სთქვა იმან ბ შეუდგა საქმეს. იმან „აპეკუნობაც" კი იკისრა, რომ კენჭის ყრაში მონაწილეობის უფლება ჰქონოდა. (რადგანაც თითონ მოსულია, ეს უფლება არა აქვს, ბევრ „პროლეტარსაც" ურჩია „ნდობამკების" შეტანა, რათა მათაც ხმა ჰქონოდათ და გაიჩარხა საქმე. არჩევნებში ხმოსნებათ „პროლეტარები" გავლენ. „პროლეტარები კი თავიანთ „პაპაშას" ამოირჩევენ „სტაროსტათ" მაგრამ როცა „პაპაშა" გაიგებს, რომ იმას წადილი შეუტყეს, კუსავით მაშინვე მიიმალება კანდიდატობაზე უარს იტყვის „პროლეტარებსაც" ბოიკოტს გამოაცხადებინებს „ბურჟუაზიულ" არჩევნებზედ და ურჩევ არავის ნება არ მისცენ ამორჩევისა, სანამ არჩევნები „პროლეტარული" არ იქნება; არჩევნებიც ჩაიშლება, და თელავი საყვლეფად ისევ ძველ მამასახლისის კლანჭებში დარჩება. რა ეშველება საწყალ თელავს?

ანკესი.

—

**ჭიათურა.** ამხ. მუშა გუჯაბიძე, როგორც, სწერს, თქვენ გაზეთ მუშის, 31 №-ში, შესახებ, საჯაროს მოხდალით, მომხდარ კრებისა, სულ ადიდებით მართალია იმას ნალაპარაკები, თავადგან ბოლომდის; და ამიტომ, მე იმას ნათქვამს აღარ გავიმეორებ. მხოლოდ, მე მინდა ავწერო, სხვა რამე, აი რა: 10 ივლისს, მოხდა თეატრის შენობაში, სიეზდის მეორე კრება, საზოგადოთ მუშებისა, უმუშევრათ დარჩენილთ, და მომუშავეებისა. დაესწრო 2000 მდე მუშა სადგ. ამხ. მუშა გუჯაბიძე, არ დასწრებია, რადგან ის დაესწრო წინაპირველ კრებას, და საქმის გამო მეორე კრებაზე, ვეღარ დაესწრო. აირჩიეს თავმჯდომარე, და გაიხსნა კრება საღამოს 7 საათზე. კრების მნიშვნელობას, იყო ის, რომ უსაქმოთ, დარჩენილ მუშების ბიურო შეერთებოდა, მომუშავეთა ბიუროს და ერთად აღმოეჩინათ, რამე საშუალება, უადგილო მუშებისათვის. ზემოხსენებული კრება მოხდა სოც.-რევოლიუციონერების ხელმძღვანელობით. ილაპარაკა ს. დ. ორატორმა, და აღნიშნა უადიფერი პტიოსნათ. შემდეგ, ილაპარაკა, ს.-რევოლიუციონერმა, თუ როგორ გაწირკებაშია საზოგადოთ მუშათა კლასის და როგორ, სჩაგრავს რუსეთის მუშა ხალხს, კაპიტალისტები და ბურჟუაზია და როგორ, ფუფუნებაში სცხოვრობენ ეს უკანასკნელები. მან აღნიშნა, როგორ გაამძლიერა მთავრობამ სოფლებში რეპრესიები როგორ გადასწვა, ისედაც გადატაკებულ გლეხების, სარჩო-საბადებელი, და როგორ დასცა სულიერათ ამდენი მუშა ხალხი. შემდეგ ამხანაგმა

---

ფიერი, მაგრამ ნამდვილად ეს ესე არ არის. შეუღლება სხვა და სხვა ფერი მამაკაცისა და დედაკაცისა არამც თუ უნაყოფოა ან ცოტა ნაყოფიერი, არამედ ჩვეულებრივ გადაჭარბებით ნაყოფიერია ერთი და იმავე ტომის ინდივიდთა შორის კავშირზედ. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ადამიანთა ჯგუფნი ცალ-ცალკე სახეები კი არ არიან, არამედ სხვადასხვა **გვარნი** ანუ **ჯიშნი ერთი და იგივე სახისა.** (Homo sapiens.) ის განსხვავებანი, რომელნიც არსებობენ მათში არ უშლიან მათ საერთო წარმოშობას.

წინედ კაცობრიობის საერთო სამშობლოდ ითვლებოდა პამირის მაკე, ზოგნი ეხლაც გვითითებენ ცეილონზედ და შუათანა ევროპაზედ, როგორც ბუდეზედ კაცობრიობის განვითარებისა, მაგრამ ამ ბოლო დროს უფრო ციმბირი იქცევს მეცნიერების ყურადღებას, იმიტომ, რომ ყველაზედ ძველი ნაშთები ადამიანისა უფრო წააგვანან თავისი ტიპით ეხლანდელ ციმბირის მცხოვრებთ და ბევრ ადგილებში ჰპოულობენ კვალს აქედგან გარდასახლებისას. ის გარჩევანნი, რომელნიც არსებობენ ადამიანთა ტომთა შორის, წარმოსდგნენ იმგვარად, როგორც ყველა ცხოველების სახეების სხვადასხვა ჯიშები. პირველ ყოფილ ადამიანთა ჯგუფებს არ ჰყოფნიდათ საცხოვრებლად ერთი განკერძოვებული ალაგი, ამიტომ იგინი გაიფანტნენ მთელ დედამიწის ზურგზედ და რადგანაც ყველგან ერთი და იგივე ბუნების პირობანი არ არსებობენ, ამიტომ იგინი უნდა შეფარდებოდნენ, შესისხლხორცებულიყვნენ ახალ ადგილებს, რამაც გამოიწვია მათ შორის განსხვავებანი და შეჰქმნა მრავალგვარი ტომნი ადამიანთა. მე აქ მომყავს ჩემი პირადი შეხედულება საგანზედ და სრულიადაც არა მაქვს აზრად ამ სტატიაში დავამტკიცო სინამდვილე და ჭეშმარიტება მონოგენისტური თეორიისა; როგორც მონოჯენისტურ ისე პოლიგენისტურ თეორიებს ჰყვანან შესანიშნავნი წარმომადგენელნი ერთ მხარეს სდგანან უდიდესი მეცნიერი ევოლიუციონისტ-მონისტი ერნესტ გეკელი და ფოსტი მეორეს—არა ევოლიუციონისტები—პოლიგენისტები კატრფაჟი და აგასიზი, რომელთა ნაწერებსაც შეუძლიან მიჰმართოთ იმათ, ვისაც აინტერესებთ ეს წამოყენებული კითხვა. ენრესტ გეკკელის აზრით კაცობრიობის განვითარება იგივედ ხდებოდა, როგორც უბრალო ცხოველი ორგანიზმისა. ორგანიზმის დანაწილება ხდება ორი უმთავრესი მოპირდაპირე მიზეზთა გავლენის გამო—ან საჭმლის სიუხვისაგან და და ან სიმშილისაგან. საჭმლის სიუხვის დროს ორგანიზმი იზრდება, მაგრამ ამ ზრდასაც აქვს ბოლო. ორგანიზმი, თუ ის აგრძელებს კვებას, იყოფა ორად და თვითეული ნაწილი იწყებს თავად დამოუკიდებელ არსებობას. საჭმლის უქონლობით კი ის ეხვევა პარკში, მაგრამ მალე ცენტრალური გული (центральное ядро) იყოფა რამდენიმე ნაწილად და თვითეული მათგანი ეძებს უფრო მდიდარ ბუნების პირობებს.

ამგვარადვე ხდებოდა კაცობრიობის განვითარება, საჭმლის სიუხვე ამრავლებდა რა ადამიანთა რიცხვს, მათ ხელს უწყობდა მათ ცგუფებად დაყოფას, აგრეთვე საჭმლის უქონლობა ანუ მისი ნაკლულევანება აიძულებდა ადამიანთ მოეძებნათ უფრო ნაყოფიერი ალაგი. ამგვარად ადამიანთა ტომები ერთმანეთს შორდებოდნენ და იძენდნენ ბუნებასთან ბრძოლის დროს იმ ახალ ჩვეულებებს, რომელნიც სასარგებლო იყვნენ ახალი ადგილის პირობათათვის. მაშასადამე, ერთ რომელიმე ოჯახს პირველ ყოფილ ადამიანებისას ანუ რამდენიმეს მათგანს შეეძლო მიეცა დასაწყისი მრავალ გვარ ადამიანთა ტომთათვის. უხვობა თუ ნაკლულოვანება საჭმლისა ერთნაირად იწვევდა კაცობრიობის დანაწილებას. ეს ცალკე ჯგუფები, როდესაც მათი რიცხვი გამრავლდა, ხშირად შეეტაკებოდნენ ხოლმე ერთმანეთს ან ნადირობის და ან მათ ქოჩათმავლობის დროს, მათ შორის ბრძოლა ასტყდებოდა ხოლმე და გამარჯვებული ჯგუფი დამარცხებულებს მონებათ იხდიდა ან სრულიად აძევებდა მათ დაჭერილ ადგილებიდან. მაგრამ ხდებოდა ისიც, რომ ორი მხარე ომის მაგივრად შეერთდებოდნენ ბ ამ კავშირით სარგებლობდენ ბუნებასთან და მტრებთან ბრძოლაში. ეს ხომ

აღნიშნა როგორ უნდა იმოქმედონ ამ მუშებმა ერთად თავის მტერის წინააღმდეგ. იმხსნავთ მუშებო! გინდა ახლა აირჩიეთ ხელ-ახალი ბიურო და გინდა წინა კრებაზე ამორჩეული კაცები იყონ. მე ამის წინააღმდეგი არ ვარ. მხოლოთ თქვენ მუშები ნუ დაცალცალკდებით, რადგან თქვენი მიზანი ერთი და იგივეა. ხან გრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვეს მუშებმა სოც.-რევოლიუციონერი. სიტყვა იახოვა ს.-დემოკრატმა მეორე ორატორმა, მან სიქვა—ამხ. ს.-რევ. ყოლიფერს კარგს ლაპარაკობს მაგრამ კაპიტალისტებისაგან ჩვენ, ს.-დ.-ები შემწვარს და მოხარშულს ვერ მოვითხოვთ, რადგან ჩვენი სოციალიზმი ამას არ მოითხოვს და სხ. მაშინ სოც.-რ.-მა საყურადღებო პასუხი გასცა, ბ-ნ დემაგოგ. ს.-დ.-ს. მე აქ კრიტიკის ლაპარაკი არ მინდოდა, რადგან ჩვენ ჯერ ამის დრო არ გვქონდა და რადგან შემწვარზე და მოხარშულზე საქმე წავიდა მე მინდა ორიოდე სიტყვით უპასუხო ბ. ს.-დ.-ებს მეც ვიცი რომ წინააღმდეგი ხართ რამე ჩამოერთვას კაპიტალისტებს და შამფური გადაუგდოს მუშებს აი თქვენი სოციალიზმი. კიდევ ტაშის ცემით დააჯილდოვეს ს.-რ. მუშებმა. ეს რომ შეიტყვეს ი-ნ ს.-დ.-მა რომ იმათი ფიზიონომია გაიგო მუშა ხალხმა, ეწყინათ და ასე ეუშიერდნენ მუშებს თქვენ ტარნით მოუიდულობი ხართ, თორემ რატომ აქამდის არ იყავით ამდენი მუშები იმათ პარტიაშიდაო! რათ გიკვირთ, ბატონო ს.-დ-ბო! რათ მოგდისთ გული, მუშა ხალხმა გაიგო, თქვენი უბუდო პროგრამმა, დატოვა და ვისაც კაი პროგრამა აქვს იმას ემხრობიან. მაგისთანა ცილის წამებით, ფონს ვერ გახვალთ, ბ-ნო სო.-დემოკრატებო! თავი დაანებეთ დემაგოგობას, თორემ სად წაუხვალთ მუშა ხალხს! პასუხს მოგთხოვენ, მაგისთანა ლანძღვა-გინებაზედ. როგორ არ გრცხვენიათ ბ-ნნო ს-დემოკრატებო. რომ ელაპარაკებით მუშებს ტარნით მოუიდული ხართო. აი, ამას დავიხსომებთ, ჩვენ მუშები, და შემდეგ, პასუხს მოგთხოვთ. მაგრამ თურმე ნუ იტყვით, მხოლოდ სოც.-დემ. პარტია იყავი. და რაც გინდა, ის ილაპარაკე, მაინც კაი კაცი ხარ. და თუ სხვა პარტია ხარ, კაიც რომ იყო მაინც არ ვარგაო. ამ ფაქტებს შალაშინი აღარ უნდა, ყოლიფერი დაამტკიცა მუშა ხალხმა იმათი დემაგოგობით.

მუშა ი. ლამბაშიძე.

---

ისევ საზოგადოებრივი შეპირება, გვეტყვიან ჩვენ,—მართალია, მაგრამ არა გაცალკევებულ ინდივიდთა შორის, არამედ უკვე შემდგარ საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის მაშასადამე, საზოგადოებრივმა შეპირებამ მაშინ იჩინა თავი, როდესაც განვლო საუკუნოებმა და გამრავლებული კაცობრიობა დაიყო ჯგუფებად. ამგვარად მაგ. განვითარდა ძველი რომის საზოგადოება ორ სხვა და სხვა ტომთაგან-ლათინებისაგან (Ramnes) და საბინებისაგან (Tities) ათინა აღორძინდა 12 ატტიკის თემთაგან, რომელთაც დასაწყისი მისცეს იონელებმა; ესენი სულ პირველად ერთ ჯგუფს წარმოადგენდნენ, მაგრამ ბუნების პირობებმა გაჰფანტეს იგი მთელ ატტიკის სივრცეზედ და ბოლოს მათ შეადგინეს ერთი ათინის საზოგადოება. ჩვენ შეგვიძლია ეხლა გავატაროთ პარალელი ორგანიზმთა და საზოგადოების განვითარების შორის. აქ მოქმედობენ ერთი და იგივე მოვლენანი. **შეერთება ხდება დაყოფის შემდეგ. წარმოშობა, დაყოფა და შეერთება—აი ის სამი საფეხური, რომელიც უნდა განვლოს ყველა ორგანიზმმა და საზოგადოებამ.**

თანამედროვე საზოგადოება უნდა დაემორჩილოს ამ ბუნებრივ ევოლუციას და თუ ჩვენ ნამდვილად გვწადია კაცობრიობის ბედნიერება, უნდა ყველა პატარა ჯგუფსაც კი გაუღვიძოთ ინიციატივა ავტონომიურ არსებობისა და სოლიდარობის პრინციპი, რათა მთელი ეკუმენის კაცობრიობა გარდაიქცეს მრავალ გვარ თავისუფალ კავშირებათ, დაფუძნებულ სრულ პირადობის ავტონომიაზედ, უუფართოესს სოლიდარობაზედ, ურთიერთა დახმარებაზედ სადაც განხორციელებული იქმნება დიადი პრინციპები სოციალიზმისა: **არც უფროს-უნცროსობა და ავტორიტეტი არც მთავრობა და არც ღმერთი. თვითეულისაგან მისი ძალის მიხედვით, თვითეულს მის მოთხოვნილებათა მიხედვით;—აი, ჩვენი დოქტრინა.**

ჩ. რ. ლ. მ. მურჩისონ.

---

# რუსეთი

25 ივლისს, პეტერბურგის სამხედრო სასამართლოში, გაირჩა საქმე მემუსიკე ჯარის კაცის, ლეიბ-გვარდის მოსკოვის პოლკისა მედვედოვისა, რომელსაც ბრალსა სდებდნენ რომ 20 ნოემბერს წარსულ წელში, იგი ავრცელებდა ჯარის კაცებს შორის მოწოდებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისას „ჯარის კაცებს და მატროსებს“ და „ამხანაგებო ჯარის კაცნო და მატროსებო“ რომლითაც ჯარის კაცებს იწვევდნენ, რომ მოეხდინათ შეიარაღებული აჯანყება და შეერთებოდნენ სარევოლიუციო წრეებს, მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად და დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაარსებლად. ბრალდებულს იცავდა კაპიტანი სირტლანოვი. სასამართლომ მიუსაჯა მედვედოვს გადასახლება და ყოველივე ღირსების ჩამორთმევა.

(XX ვეკ.)

—

25 ივლისს, ზოლოტნოი ქუჩაზედ მოხდა შეტაკება გაფიცულ მუშებს და პოლიციელთა შორის. არიან რამდენიმე დაჭრილი.

(XX ვეკ.)

—

უკანასკნელმა ამბებმა სვეაბორგში, კრონშტანტში, რეველში და სხვაგან დიდი გავლენა იქონია მუშებზედ. მუშებს შორის დაიბადა გაფიცვის აზრი.

ჯერ გუშინვე 21 ივლისს, მუშებთა რაიონებში ირჩევოდა საკითხი გაფიცვის შესახებ. მრავალ ქარხანაში გადასწყვიტეს იმავე დღეს დაეწყოთ გაფიცვა.

—

22 ივლისს, ვიბორგის მხარეს მოედო გაფიცვა. გაიფიცნენ მეტალიური და ფენიქსის ქარხნები; მერე თან-და-თან უერთდებოდნენ ქარხნები ისე რომ შუადღის ორ საათზედ თითქმის მთლად ქარხნებში შედგა მუშაობა. დაიკეტა სალუდოები საჩაიები და სახაზინო ღვინის დუქნები. ვიბორგის მხარეს გაიფიცნენ თორმეტი ათას მუშამდე მათ შეუერთდა ვასილიევის კუნძულის რაიონი ხუტმეტი ათას მუშებამდე სხვა ყველა რაიონი. გაფიცვა მოედვათ აგრეთვე ქალაქის ცხენის რკინის გზებს ყველა სტამბებს, გარდა „ნოვოე ვრემია“-სი (სადაც ასოთ-ამწყობნი გიფიცნენ; მუშაობდნენ მეტრანპაჟები და შეგირდები) და „პეტერბურგსკი ლისტოკი-სა“.

რკინის გზებიდგან გაიფიცა მხოლოდ ირინეს რკინის გზის უფროსი რისთვისაც ის დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.

გაფიცვა მაინც ვერ მოხერხდა, რადგანაც მიიღეს მონაწილეობა მხოლოდ ერთ მესამედ ნაწილმა მუშებისამ და იმათაც ვადის გასვლამდე 25 ივლისამდე ძლივს გაიტანეს თავი. (XX ვეკ).

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

—

**მინსკი.** ბობრუისკის დისციპლინურ ბატალიონიდგან, გაიქცნენ 3 დაპატიმრებული.

— სოფელ კოლგომელში დაიწვა 62 გლეხების სახლი.

**სოფია.** დღეს მოხდა მრავალ-რიცხვანი ანტიბერძნული მიტინგები. რუშჩუკში, კარნობატში და ანხიალოში ბრბომ აიკლო ბერძნების მაღაზიები. ანხიალოში, მოხდა დიდი შეტაკება ბოლგარელთა და ბერძნებს შორის. მოკლულია ოთხი და ხუთი დაჭრილია. რამდენიმე სახლი და დუქანი დასწვეს.

**ვარშავა.** „ვარშავსკი ვესტნიკი“ რომელიც გამოდიოდა რუს საზოგადოების მიერ, დროებით შეყენდა პაების შემოუტანლობის გამო.

**მორიოლი.** კუდინოვის თემში, ათს სოფელში სეტყვამ გააფუჭა გლეხების ჭირნახული 1700 დესეტინამდე.

**პარიჟი.** სულთანი განიკურნა.

**კიევი.** დნეპრში, ნავებში დაიჭირეს 45 კაცი და ქალი ბუნდისტები. რომელთაც აღმოაჩნდათ ვიბორგის მოწოდებანი და პროკლამაციები.

**ორიოლი,** კარაჩევში, გაძარცვის გამო მოჰკლეს მთავარი არხანგელსკი და მისი ცოლი. მკვლელები მიიმალნენ.

**ნოვო-ჩერკასკი.** ჩერკასკის ოლქში გლეხებს ჩამოართვეს 1076 თოფი და 486 რევოლვერი.

**ყაზანი.** ტვირთ-მზიდველ მუშების გაფიცვა გრძელდება.

**ბახმუტი.** იუზოვკაში დრაგუნებმა გაჰფანტეს მრავალ-რიცხოვანი მიტინგი.

**ლოძი.** დოლგოი ქუჩაზე, შეიარაღებულებმა გაძარცვეს ვაჭარი რაიხერი, წაართვეს 500 მანეთი.

**ოდესსა.** ჭერის გახვრეტით ბოროტ მომქმედნი შეიპარნენ პტაშნიკოვის მაღაზიაში წაიღეს საქონელი 10,000 მანეთამდეს.

**მოსკოვი.** პიატნიცსკის ქუჩაზედ აღმოაჩინეს ლაბარატორია და სტამბა რევოლიუციონურ კომიტეტისა. იპოვეს მრავალი მასალა და ნივთიერება ყუმბარის დასამზადებლად, იარაღების საწყობი და პროკლამაციები. დააპატიმრეს ორი კაცი.

---

რედაქტორ გამომცემელი

**მიხეილ დიასამიძე.**

---

# განცხადებანი.

ვთხოვთ თვიურ ხელის მომწერლებს (თბილისში და თბილისს გარეთ) შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევაჩეროთ გაზეთის გზავნა.

---

ჩვენ მზად ვართ დავუთმოთ ჩვენი გაზეთის პატარა კალონები **მუშის**, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

---

**ვთხოვთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში ფულიყოველ შაბათობით გვიგზავნონ თუ სურთ, რომ შემდეგისთვისაც მიიღონ გაზეთი.**

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.